



gamomcemeli: Sps 'biznes intel eqti -
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praktikuli Jurnal i
`gadasaxadebi -

registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical magazine `Gadasakhadebi -

mtavari redaqtori:
davit jal aronia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalagonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocierebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gel asvili
asocierebuli profesori

Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqniki redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocierebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi sonia, asocierebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professor

iurist-konsultanti:
el guja qavtaraZe, asocierebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

Jurnal i „gadasaxadebi -
registrirebulia
s.k. 404941300
Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

saredaqci okolegi a
EDITORIAL BOARD

Tavmjdomare: profesori davit jal aronia
Chairman: professor David Jalagonia

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi,
profesorebi:

Doctors of Economics, Professors:

zaur amil axvari	Zaur Amilakhvari
rezo gvel esiani	Rezo Gvelesiani
simon gel asvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapi Ze	Shota Veshapidze
larisa Takal anZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira Rudusaui	Zaira Gudushauri
temur Sengel ia	Temur Shengelia
mixeil cikvil aZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
el ene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anjelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi el sever nariman ori -
baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Oglu - Baku, Azerbaijan

mimRebi: Sps 'biznes intel eqti -
mimRebi's IBAN angariSiS #GE30BR0000010679562042
mimRebi's banki: s.s banki 'respublika -
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Correspondent acc. No: 00195464
SWIFT: REPLGE22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri Sesazl oar emTxveodes avtorisas. statias moyvani li faqtebis da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtoris.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel , fasi 6 l ari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 6

ISSN 1987-9156



sarCevi / **Table of contents**

ekonomi kuri qroni ka / **Economic chronicles** -----5-7

auqci oni / **auction**-----8-10

oficial uri dokumentebi / **Formal documents**

oficial uri dokumentebi -----11-42

instruqcia / **Instructions** -----43

Semosavl ebis samsaxuris ganmarteba / **Revenue service definition** --
-----44-55

es saintereso a / **Interesting facts** -----56-57

val utis kursi / **Exchange rate** -----58

gadasaxadebi #10, 2015

GADASAKHADEBI #10, 2015



ECONOMIC NEWS

დასკვნითი შეხვედრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან

20 ნოემბერი, 2015



მიმდინარე წლის 20 ნოემბერს, ფინანსთა სამინისტროში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან დასკვნითი შეხვედრა გაიმართა, რომელზეც ორი კვირის მანძილზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე მიღწეული პოზიტიური შედეგები და ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა აღნიშნა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან შეთანხმება მიღწეულია მომავალი წლის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, მათ შორის, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, ინფლაციისა და ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლებზე.



შეხვედრაზე იმსჯელეს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებზე, იმ ღონისძიებებზე, რომელიც დაგეგმილია მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიმართულებით, აგრეთვე ისაუბრეს ამ კუთხით საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებზე.

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, მთავრობა მომავალ წელსაც გააგრძელებს სოციალური ვალდებულებების დაფინანსებას, აგრეთვე განათლების, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სექტორების, ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერას.

მსოფლიოსა და რეგიონში არსებული გამოწვევების ფონზე, ქართულმა მხარემ სრული მზადყოფნა გამოთქვა გააგრძელოს ისეთი სტრუქტურული რეფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეკონომიკის განვითარებას.

ინფორმაცია თამბაქოს პროდუქციასა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის მატებასთან დაკავშირებით

19 ნოემბერი, 2015

მიმდინარე წლის 19 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი განიხილეს, რომელიც 2016 წლის 1 იანვრიდან თამბაქოს პროდუქციასა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის მატებას ითვალისწინებს.

კანონპროექტის მიღების მიზანია თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის ოპტიმიზაცია.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან აქციზის ფიქსირებული განაკვეთის ზრდა დაგეგმილია:

- ფილტრიან სიგარეტზე (20 ლერზე) - 0,20 ლარის ოდენობით;
- უფილტრო სიგარეტზე (20 ლერზე) - 0,05 ლარის ოდენობით;
- სიგარეტზე ერთ ლერზე და სიგარალებზე 20 ლერზე - 0.4 ლარით;
- ყალიონით მოსაწევ და სალექ ან საყნოს თამბაქოზე 1 კგ-ზე - 5 ლარით.
- ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე (20 ლერზე) აქციზის პროპორციული განაკვეთი იზრდება 5 დან 10 პროცენტამდე.
- ასევე 2016 წლის 1 იანვრიდან ვისკიზე, რომზე და ტაფიაზე, ჯინისა და ღვის ნაყენზე აქციზის განაკვეთის 10 ლარიდან 15 ლარამდე, ხოლო სხვა ალკოჰოლურ სასმელებზე და ეთილის სპირტზე (გარდა, ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით მიღებული სპირტის ნაყენებისა, ლიქიორებისა და ზოგიერთი სხვა დაბალ ალკოჰოლური სასმელისა), აქციზის განაკვეთი გაიზრდება - 10 ლარამდე.

მთავრობის სხდომაზე განხილვის შედეგ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი განსახილველად საქართველოს პარლამენტს გაეგზავნება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ელჩს იან კელის შეხვდა

18 ნოემბერი, 2015



მიმდინარე წლის 18 ნოემბერს, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ელჩს საქართველოში იან კელის შეხვდა.

შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და მხარეებმა აშშ-ს მთავრობასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს, მათ შორის, ისაუბრეს იმ მხარდაჭერაზე, რომელსაც ჩვენი პარტნიორი ქვეყანა უწევს სამინისტროს ფისკალური სამსახურების შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.

ამ კუთხით, განსაკუთრებით, ხაზი გაესვა იმ პროგრამების მნიშვნელობას, რომელიც ფინანსთა სამინისტროში შეერთებული შტატების ხაზინის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და მისი ერთ-ერთი პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ დახმარებით ხორციელდება.

შეხვედრაზე ისაუბრეს მიმდინარე წლის ივლისში, საქართველოს მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებთან უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის შესახებ (FATCA) აქტის ხელმოწერის მნიშვნელობაზე, რითაც საქართველო შეუერთდა იმ ქვეყანათა რიცხვს, რომელიც პარტნიორ ქვეყანას - აშშ-ს მისი მოქალაქეების მიერ გადასახადების დაფარვის ფაქტების აღმოფხვრის მიზნით მიაწვდის ფინანსურ ინფორმაციას.

ფინანსთა მინისტრმა საქართველოს მთავრობის სახელით, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების მხარდაჭერისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ჩვენს ქვეყნებს შორის კვლავ გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა.



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

18.11.2015

2015 წლის 18 ნოემბერს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე **9 500 000** ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ორმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა **9 500 000** ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი **14.000** პროცენტით, მაქსიმალური **14.980** პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - **14.181** პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური განაკვეთი **14.375** პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.






ფულადი გზავნილები ოქტომბერში

16.11.2015

2015 წლის ოქტომბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ **89.9** მლნ აშშ დოლარი, ანუ **215.2** მლნ ლარი შეადგინა, რაც **27.4** პროცენტით (**34.0** მლნ აშშ დოლარით) ნაკლებია **2014** წლის ოქტომბერის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ფულადი გზავნილების მოცულობა ქვეყნების მიხედვით



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების **92.7** პროცენტი იმ **14** უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ოქტომბერში **1** მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე **14** ქვეყანაზე გასული წლის ოქტომბერში მთელი ფულადი გზავნილების **93.6** პროცენტი მოდიოდა.

	ფულადი გზავნილების მოცულობა ოქტომბერი, 2015, მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში, %	
		ოქტომბერი, 2014	ოქტომბერი, 2015
სულ	89.9	100.0	100.0



ევროკავშირის ქვეყნები, სულ	27.4	28.2	30.4
მათ შორის:			
იტალია	9.6	7.7	10.7
საბერძნეთი	7.9	12.8	8.8
გერმანია	2.5	1.8	2.8
ესპანეთი	2.3	1.8	2.6
გაერთიანებული სამეფო	1.3	1.0	1.5
საფრანგეთი	1.0	0.8	1.2
დანარჩენი ქვეყნები, სულ	62.6	71.8	69.6
მათ შორის:			
რუსეთი	36.0	50.2	40.0
აშშ	8.8	5.9	9.7
თურქეთი	5.0	4.7	5.6
ისრაელი	3.1	1.7	3.4
უკრაინა	1.9	1.9	2.1
ერაყი	1.4	0.5	1.6
აზერბაიჯანი	1.3	1.3	1.5
ყაზახეთი	1.2	1.4	1.3

2015 წლის ოქტომბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 15.1 მლნ აშშ დოლარი (36.1 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 17.0 მლნ აშშ დოლარისა (29.9 მლნ ლარისა) გასული წლის ოქტომბერში.





საქართველოს კანონი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 22¹ მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. რეგენტთა საბჭოს წევრზე ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.“.

2. 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

27 ოქტომბერი 2015 წ.

N4381-ის





საქართველოს კანონი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, 06.11.2009, მუხ. 191) მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) პირი, რომლის მიმართაც არსებობს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობრივი შეუთავსებლობის გარემოებები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

27 ოქტომბერი 2015 წ.

N4382-ლს

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 37) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე, – საქართველოს კანონმდებლობით მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;“.



მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

28 ოქტომბერი 2015 წ.

N4452-ის

საქართველოს კანონი

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №17, 16.06.2003, მუხ. 113) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 13¹ მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია (შემდგომ – კომისია) არის საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ტერორიზმთან დაკავშირებული პირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – გაერო) წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიღებული უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით (შემდგომ – გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები) განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებას, რათა ამ პირებმა არ განახორციელონ ტერორისტული ან სხვა უკანონო საქმიანობის დაფინანსება ან მისი სხვა ფორმით მხარდაჭერა.“.

2. 13² მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„1. კომისია უფლებამოსილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისიის სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით დადგენილი სანქციების შესასრულებლად მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გარკვეული შეზღუდვების დაწესების შესახებ. კომისიის სამუშაო ჯგუფის მიმართვა სავალდებულოა შესასრულებლად შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

28 ოქტომბერი 2015 წ.

N4453-ლს

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სხვა სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად;“.

2. 43-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ ნაწილი:

„2¹. „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრული საქართველოს ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია ამ შეთანხმების ფარგლებში გადასცეს საგადასახადო ორგანოს ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაცია.“.



3. 49-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრული საქართველოს ფინანსური ინსტიტუტისგან ამ შეთანხმების ფარგლებში მიიღონ ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაცია და გადასცენ ეს ინფორმაცია აღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ ორგანოს.“.

4. 70-ე მუხლის:

ა) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას (ამ შემოწმების ფარგლებში) ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიმართვის საფუძველზე კომერციული ბანკისგან გამოითხოვოს პირის შესახებ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია. ამ ინფორმაციას საგადასახადო ორგანო გამოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გარდა ამ მუხლის 3¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

ბ) მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ ნაწილი:

„3¹. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრული საქართველოს ფინანსური ინსტიტუტისგან ამ შეთანხმების ფარგლებში მოითხოვოს ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაცია და გადასცეს ეს ინფორმაცია აღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ ორგანოს.“.

5. 71-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების ფარგლებში გადასცეს საგადასახადო ორგანოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაცია.“.



მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

28 ოქტომბერი 2015 წ.

N4458-ლს

საქართველოს კანონი

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №003, 27.03.96, გვ. 15) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-17 მუხლის:

ა) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), ანგარიშის, ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციისა და ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეთ შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეს, შესაბამისი ანგარიშის მფლობელს და მათ წარმომადგენლებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე აქტები, მათი აღსრულების პროცესში, აგრეთვე საგადასახადო ორგანოს – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილებისა და „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების საფუძველზე.

3. სასამართლო და საგამომიებო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებათ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოსთვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, ასევე ამ ინფორმაციის საჯარო გამოსვლებში გამოყენება, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;



ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის გარეშე გადასცეს „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ ორგანოს.“.

2. 21¹ მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომერციული ბანკი ანგარიშის გახსნის პროცედურას ახორციელებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების შესაბამისად.

2. კომერციულმა ბანკმა თავისი მომსახურების მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობის პერიოდში და მის მიერ განხორციელებული ოპერაციის შემოწმებისას უნდა იცოდეს თავისი მომსახურების მომხმარებლის ვინაობა, საქმიანობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით ამ საქმიანობის რისკის დონე. კომერციული ბანკი ასევე ვალდებულია „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე განსაზღვროს კლიენტის საგადასახადო რეზიდენტობა და მოიპოვოს ინფორმაცია პირის შესაბამისი სტატუსის შესახებ.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. კომერციული ბანკი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას ანგარიშის გახსნაზე ან დაუხუროს არსებული ანგარიში, თუ იგი უარს აცხადებს კომერციული ბანკისთვის „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდებაზე.“.



მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

28 ოქტომბერი 2015 წ.

N4459-ლს

საქართველოს კანონი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1(8), 1999 წელი, მუხ. 1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 23¹ მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საბროკერო კომპანია ანგარიშის გახსნის პროცედურას ახორციელებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების შესაბამისად. საბროკერო კომპანიამ თავისი მომსახურების მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობის პერიოდში და მის მიერ განხორციელებული ოპერაციის შემოწმებისას უნდა იცოდეს თავისი მომსახურების მომხმარებლის ვინაობა, საქმიანობა და ამ საქმიანობის რისკის დონე. საბროკერო კომპანია ასევე ვალდებულია „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე განსაზღვროს კლიენტის საგადასახადო რეზიდენტობა და მოიპოვოს ინფორმაცია პირის შესაბამისი სტატუსის შესახებ. იგი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს და მოითხოვოს სხვა, დამატებითი ინფორმაცია. საბროკერო კომპანიას ასევე უფლება აქვს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ანგარიშის გახსნაზე. ამასთანავე, საბროკერო კომპანია უფლებამოსილია პირს უარი უთხრას ანგარიშის გახსნაზე ან დაუხუროს არსებული ანგარიში, თუ იგი უარს აცხადებს საბროკერო კომპანიისთვის „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდებაზე.“.



2. 32-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), ანგარიშის, ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციისა და ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეთ შესაბამისი ანგარიშის მფლობელს და მის წარმომადგენელს, სააგენტოს – მისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, ხოლო ამ მუხლის 2¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე მიეწოდება.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების ფარგლებში შეიძლება გადაეცეს საგადასახადო ორგანოს. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მიაწოდოს ეს ინფორმაცია ამ შეთანხმებით განსაზღვრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ ორგანოს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

28 ოქტომბერი 2015 წ.

N4460-ის





საქართველოს კანონი

„არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №23, 24.07.2002, მუხ. 104) მე-16 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრედიტო კავშირის წევრის ანაზრის და სასესხო ოპერაციის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და იგი შეიძლება მიეცეთ მხოლოდ თავად საკრედიტო კავშირის წევრს და მის წარმომადგენელს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, აგრეთვე საგადასახადო ორგანოს – „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების საფუძველზე. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე მიეწოდება.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების ფარგლებში შეიძლება გადაეცეს საგადასახადო ორგანოს. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მიაწოდოს ეს ინფორმაცია ამ შეთანხმებით განსაზღვრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ ორგანოს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

28 ოქტომბერი 2015 წ.

N4462-ლს



საქართველოს კანონი

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30, 27.07.2006, მუხ. 238) მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ინფორმაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ საგადასახადო ორგანოს „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების საფუძველზე.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებათ სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოსთვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, ასევე ამ ინფორმაციის საჯარო გამოყენება, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც ინფორმაცია გადაცემულია „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების საფუძველზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

28 ოქტომბერი 2015 წ.

N4465-1ს





საქართველოს კანონი

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 12.06.2012, სარეგისტრაციო კოდი: 200020000.05.001.016788) 43-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროვაიდერის მიერ მისი მომხმარებლის ფულადი სახსრებისა და ელექტრონული ფულის, აგრეთვე მის მიერ განხორციელებული ოპერაციის (მათ შორის, ოპერაციის განხორციელების მცდელობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეთ თავად მომხმარებელს და მის სათანადოდ უფლებამოსილ წარმომადგენელს, შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეს, აგრეთვე საგადასახადო ორგანოს – „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების საფუძველზე, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე აქტები, მათი აღსრულების პროცესში. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე მიეწოდება.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სასამართლო, საგამოძიებო და საგადასახადო ორგანოებს ეკრძალებათ სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანამდე ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გადაცემა სხვა პირისა და ორგანოსთვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, ასევე ამ ინფორმაციის საჯარო გამოსვლებში გამოყენება, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

გ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე გადასცეს „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ ორგანოს.“.



მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

28 ოქტომბერი 2015 წ.

N4466-ლს

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №29, 12.10.2009, მუხ. 159) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 48¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. სააგენტო უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შეამოწმოს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის მიერ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.“.

2. 48² მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. სააგენტო უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შეამოწმოს საგადახდო სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.“.

3. 49-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:



„ლ) თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შეამოწმოს კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიერ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.“.

4. 50-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. სააგენტო უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შეამოწმოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.“.

5. 52-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე¹“ ქვეპუნქტი:

„ე¹) თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შეამოწმოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილის მიერ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

28 ოქტომბერი 2015 წ.

N4468-ლს



**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №577**

2015 წლის 10 ნოემბერი, ქ. თბილისი

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და

მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი

პრინციპები და მოთხოვნები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები ადგენს მიკვლევადობის სისტემის დანერგვის პირობებს და აწესრიგებს ამ პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებს.

2. ბიზნესოპერატორის მიერ ამ წესით განსაზღვრულ მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში –სააგენტო).

მუხლი 2. მიზანი და გამოყენების სფერო



1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები მიზნად ისახავს სააგენტოს მიერ შეუსაბამო სურსათის/ცხოველის საკვების, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების, ცხოველისა და მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის და აგროქიმიკატის (შემდგომში – პროდუქცია) ბაზარზე განთავსების შეზღუდვასთან/აკრძალვასთან ან ბაზრიდან მის ამოღებასთან დაკავშირებით სათანადო ზომების მიღებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

2. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე მიკვლევადობის დანერგვას უზრუნველყოფს ბიზნესოპერატორი.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

ამ წესის მიზნებისათვის გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 4. მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები

1. მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნებია:

ა) მიკვლევადობის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს შეუსაბამო პროდუქციის წარმოქმნის მიზეზის დადგენა და საჭიროების შემთხვევაში, ასეთი პროდუქციის ბაზარზე განთავსების შეზღუდვასთან/აკრძალვასთან ან ბაზრიდან მის ამოღებასთან დაკავშირებით, სათანადო ზომების გატარება;

ბ) პროდუქციის მიკვლევადობის განსახორციელებლად აუცილებელია, ბიზნესოპერატორს ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს. შემოღებული უნდა ჰქონდეს სისტემები და პროცედურები, რომლებიც ამგვარი ინფორმაციით უზრუნველყოფს სააგენტოს მოთხოვნისამებრ;

გ) მიკვლევადობის დროს დოკუმენტირებული უნდა იქნეს პროდუქციის ისტორია ან/და მისი ადგილმდებარეობა წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;

დ) წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ბიზნესოპერატორს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მოახდინოს უშუალო მიმწოდებლისა და უშუალო მომხმარებლის იდენტიფიცირება, გარდა საბოლოო მომხმარებლისა.

2. მიკვლევადობის უზრუნველყოფისათვის, პროდუქცია ეტიკეტირებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

3. ბიზნესოპერატორი ვალდებულია, დოკუმენტირებული ჰქონდეს:



ა) მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) ფაქტობრივი მისამართი;

გ) პროდუქციის პარტიის ჩაბარების თარიღი;

დ) ყველა სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს მიკვლევადობის სრულყოფილად განხორციელებას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარმოება და მიწოდება შესაძლებელია ელექტრონული საშუალებით.

5. ბიზნესოპერატორს უნდა გააჩნდეს დოკუმენტური ინფორმაცია ტრანსპორტირების ვადების შესახებ.

6. ბიზნესოპერატორი ვალდებულია, განსაზღვროს მიკვლევადობაზე პასუხისმგებელი პირი.

7. იმპორტირებული პროდუქციის შემთხვევაში, მიკვლევადობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი თანმხლები დოკუმენტაციის საფუძველზე.

მუხლი 5. სპეციალური მოთხოვნები ცხოველური წარმოშობის სურსათის მიკვლევადობისთვის

1. სპეციალური მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის მიკვლევადობისათვის და არ ეხება სურსათს, რომელიც შედგება მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათისაგან.

2. ცხოველური წარმოშობის სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორი უნდა ფლობდეს და სააგენტოს მოთხოვნისთანავე უნდა მიაწოდოს შემდეგი სახის დოკუმენტური მონაცემები:

ა) გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის ზუსტი აღწერილობა;

ბ) გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის მოცულობა ან რაოდენობა;

გ) იმ ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი, ვისგანაც გაიგზავნა გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათი;

დ) ტვირთის გამგზავნი (მფლობელი) ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი იმ შემთხვევაში, თუ ის არ წარმოადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ბიზნესოპერატორს;



ე) ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი, რომელთანაც გაიგზავნა გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათი;

ვ) გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის მიმღები ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი, თუ ის არ წარმოადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ბიზნეს ოპერატორს;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის პარტიის ან ტვირთის იდენტიფიკაციისათვის მონაცემები;

თ) გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის გაგზავნის თარიღი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მონაცემები განახლებულ უნდა იქნეს ყოველდღიურად.

4. ბიზნესოპერატორი ვალდებულია, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მონაცემები შეინახოს იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათი სავარაუდოდ მოხმარებულ იქნა.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მონაცემები უნდა ექვემდებარებოდეს აღდგენას იმ ბიზნესოპერატორის მიერ, რომელსაც მიეწოდა გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათი.



**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №565**

2015 წლის 9 ნოემბერი, ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის საფასურის, მისი გადახდის, გადახდილი საფასურის დაბრუნებისა და საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ გაწეული მომსახურების სახეები და ამ მომსახურების საფასური თანდართული დანართის შესაბამისად. ცენტრის მიერ გაწეული სხვა მომსახურების განფასება ხდება ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2. დადგინდეს, რომ:

ა) დაინტერესებული პირი იხდის დადგენილი მომსახურების საფასურს (შემდგომში – საფასური) ცენტრთან წერილობითი ფორმით გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) პირობების შესაბამისად;

ბ) საფასური შეიძლება გადახდილ იქნეს წინასწარ, მომსახურების გაწევის შემდეგ ან ეტაპობრივად, ცენტრსა და დაინტერესებულ პირს შორის შეთანხმებული პირობების მიხედვით.

3. გადახდილი საფასური ექვემდებარება უკან დაბრუნებას, თუ:

ა) საფასური გადახდილია დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, რა დროსაც საფასურის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და დადგენილი საფასურის განაკვეთს შორის;

ბ) ცენტრი მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უარს აცხადებს მომსახურების გაწევაზე;



გ) საქართველოს კანონმდებლობით და/ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

4. ამ დადგენილების გათვალისწინებით, ხელშეკრულების სხვა პირობებს განსაზღვრავს ცენტრი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაინტერესებულ პირთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.

5. ხელშეკრულება არ ფორმდება და შესაბამისად, საფასურის გადახდა არ ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურების მიმღებია ცენტრის თანამშრომელი.

მუხლი 2

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის საფასურის, მისი გადახდის, გადახდილი საფასურის დაბრუნებისა და საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის №494 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 9 ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი





საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
 სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სასწრაფო
 სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების სახეები და
 ამ მომსახურების საფასური ლარში

სასწავლო/სატრენინგო/საკონფერენციო ან სხვა მსგავსი მიზნებისათვის საკონფერენციო დარბაზის, ნახევარი დღით (4 საათით), დროებით სარგებლობაში გადაცემა	ერთი ოთახის ჯამური ხარჯი(დღე-ის ჩათვლით)
26 - 50 მსმენელი	235
51 - 70 მსმენელი	265
71 - 90 მსმენელი	295
91 - 130 მსმენელი	355

სასწავლო/სატრენინგო/საკონფერენციო ან სხვა მსგავსი მიზნებისათვის საკონფერენციო დარბაზის, სრული დღით (8 საათით), დროებით სარგებლობაში გადაცემა	ერთი ოთახის ჯამური ხარჯი(დღე-ის ჩათვლით)
26 - 50 მსმენელი	270
51 - 70 მსმენელი	300
71 - 90 მსმენელი	330
91 - 130 მსმენელი	390

სასწავლო/სატრენინგო/საკონფერენციო ან სხვა მსგავსი მიზნებისათვის სატრენინგო ოთახის დროებითსარგებლობაში გადაცემა	ერთი ოთახის ჯამური ხარჯი(დღე-ის ჩათვლით) ერთი დღე
1 - 25 მსმენელი	100

ტუმრო ოთახების დროებით სარგებლობაში გადაცემა	ერთი ოთახის ჯამური ხარჯი (დღე-ის ჩათვლით) ერთი დღე
ლუქსის ტიპის ნომერი	120
ორადგილიანი ნომერი	90



საქართველოს მთავრობის

დადგენილება №556

2015 წლის 29 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/12/2013, 040110030.10.003.017495) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6¹ მუხლი:

„მუხლი 6¹. მოთხოვნებისა და უფლებების (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციებისა) საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის წესი

1. მოთხოვნებისა და უფლებების (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციებისა) უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვრება არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით, ხოლო მოთხოვნებისა და უფლებების (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციებისა) პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო თანხა შესაძლოა განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილ ფასზე ნაკლები ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, პირობებიანი აუქციონის ფორმით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციებისა) პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო თანხის დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილ ფასზე ნაკლები ოდენობით განსაზღვრის შემთხვევაში, ინფორმაცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წარედგინება საქართველოს მთავრობას მოწონებისათვის.



3. მოთხოვნებისა და უფლებების (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციებისა) პირდაპირი მიყიდვის ფორმით და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №352

2015 წლის 4 ნოემბერი, ქ. თბილისი

„სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას საბაჟო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 16 ივლისის №221 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას საბაჟო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 16 ივლისის №221 ბრძანებით (ვებგვერდი, 17/07/2015, სარეგისტრაციო კოდი 190040000.22.033.016776) დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის:

1. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. როდესაც საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეიცავს ინფორმაციას, რომ სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი ორგანიზმი ან მისგან წარმოებული პროდუქტი წარმოადგენს გენმოდიფიცირებულს, ხორციელდება ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღება (გარდა ამ მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), რომლის სიხშირე განისაზღვრება ASYCUDA-ს მეშვეობით გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემის გამოყენებით.“.



2. მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. ნიმუშის აღებას არ ექვემდებარება ის სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი ორგანიზმი ან მისგან წარმოებული პროდუქტი, რომლის იმპორტი ხორციელდება „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნილებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილების დანართით („ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ნუსხა, რომელთა ტექნიკური რეგლამენტები საქართველოში სამოქმედოდ არის დაშვებული“) განსაზღვრული ქვეყნიდან და თან ახლავს ამავე ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მოცემული ორგანიზმი/პროდუქტი არ წარმოადგენს გენმოდიფიცირებულს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №353**

2015 წლის 5 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31.07.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასაზღვრო კონტროლის ზონები – საბაჟო გამშვები პუნქტებია: „წითელი ხიდი“, „სადახლო-საავტომობილო“, „სადახლო-სარკინიგზო“, „გარდაბანი“, „მტკვარი“, „ახკერპი“, „გუგუთი“, „ლაგოდეხი“, „სამთაწყარო“, „ყაზბეგი“, „ვალე“, „ნინოწმინდა“, „სარფი“, „ბათუმის აეროპორტი“, „ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული და ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები“, „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“, „ბათუმის პორტი“, „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“, „კარწახის სამშენებლო ზონა“, „კარწახი“.“.

2. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ – ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, სამრეწველო ზონაში ყოფილი „ტარზის“ ტერიტორია.“.

3. მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„7. ექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსების შემთხვევაში – არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვისას – დროებით შენახვის განაცხადის რეგისტრაციის თარიღიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული წლისა, საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) საქონლის დროებით შენახვისას – საქონლის ფაქტობრივი განთავსების დღიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა, გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე ექსპორტის გამოყენებისას – გადამუშავების ვადის გასვლამდე, ხოლო თავისუფალი ზონის ტერიტორიაზე თავისუფალი ზონის შექმნამდე შეტანილ საქართველოს საქონელზე – თავისუფალი ზონის ფუნქციონირების დაწყებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა.“.

4. 54-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქონლის ექსპორტის სასაქონლო ოპერაცია აგრეთვე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს:

ა) გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე გადამუშავების ვადის გასვლამდე, თუ დეკლარანტი გაფორმების საგადასახადო ორგანოში წარადგენს საქონლის გასხვისების დოკუმენტს;

ბ) თავისუფალი ზონის ტერიტორიაზე თავისუფალი ზონის შექმნამდე შეტანილ საქართველოს საქონელზე, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების დაწყებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა, თუ დეკლარანტი გაფორმების საგადასახადო ორგანოში წარადგენს საქონლის თიზ-ის საწარმოზე გასხვისების დოკუმენტს.“.

5. 55-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელია დადგენილ ვადაში (საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსების შემთხვევაში – არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, საქონლის საბაჟო საწყობში დროებით შენახვისას – დროებით შენახვის განაცხადის რეგისტრაციის თარიღიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული წლისა, საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) საქონლის დროებით შენახვისას – საქონლის ფაქტობრივი განთავსების დღიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა, თავისუფალი ზონის ტერიტორიაზე თავისუფალი ზონის შექმნამდე შეტანილ საქართველოს საქონელზე – თავისუფალი ზონის ფუნქციონირების დაწყებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა) ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, ან ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონელი 5 სამუშაო დღის ვადაში (დროებითი დასაწყობების შემთხვევის გარდა) არ იქნება გატანილი საბაჟო კონტროლის ზონიდან, საგადასახადო ორგანო აცნობებს დეკლარანტს საქონლის განკარგვის შესახებ თავისი განზრახვის თაობაზე და ადგენს ამ პუნქტში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. თუ დადგენილ ვადაში დეკლარანტი არ აღმოფხვრის ნაკლოვანებებს ან არ მოითხოვს



დეკლარაციის ბათილად ცნობას, შემოსავლების სამსახური ახორციელებს საქონლის განკარგვას.“.

6. 69-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. თავისუფალი ზონის ტერიტორიაზე თავისუფალი ზონის შექმნამდე შეტანილი საქართველოს საქონლის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ექსპორტის სასაქონლო ოპერაცია, თუ დეკლარანტი გაფორმების საგადასახადო ორგანოში წარადგენს საქონლის თიზ-ის საწარმოზე გასხვისების დოკუმენტს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №358/857

2015 წლის 9 ნოემბერი, ქ. თბილისი

„კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №988-№1188 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებთ:

მუხლი 1

„კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №988-№1188 ერთობლივი ბრძანებით (სსმ, №172, 31.12.2010 წ., სარეგისტრაციო კოდი – 230150070.22.033.016107) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„ს) „სასაქონლო პარტია“ – ერთი ან რამდენიმე ავტოსატრანსპორტო საშუალება, გაგზავნილი ერთი მიმღების მისამართით, ერთი სახეობის ტრანსპორტით, წარდგენილი სასაქონლო ოპერაციისათვის ერთდროულად ერთი და იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალებებისა და გადაზიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების რაოდენობისა.“.

2. მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) იმპორტის, საწყობის, დროებითი შემოტანის ან რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოსაქცევი ავტოსატრანსპორტო საშუალებები (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა);“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საექსპერტო შემოწმება არ ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე:

ა) რომელიც შემოყვანილია იურიდიული პირის მიერ და რომელიც რეგისტრირებული არ ყოფილა;

ბ) რომელსაც წინმსწრები სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას სააგენტოს სპეციალისტის მიერ უკვე ჩაუტარდა სავალდებულო საექსპერტო შემოწმება (გარდა დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის რეექსპორტისა).“.

3. 28-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დეკლარაციას და „დროებით შემოტანისას გადასახდელი თანხის გადახდის განრიგს“ ავსებს დეკლარანტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი თხოვნით მიმართავს სააგენტოს დეკლარაციის შევსების თაობაზე.

6. დეკლარაციასთან ერთად წარედგინება კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შესაბამისი დოკუმენტები, ხოლო იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე აგრეთვე წარედგინება „დროებით შემოტანისას გადასახდელი თანხის გადახდის განრიგი“, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანების შესაბამისად.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ფინანსთა მინისტრი**ნოდარ ხადური****საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი****გიორგი მღებრიშვილი****საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №360**

2015 წლის 11 ნოემბერი, ქ. თბილისი

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით (სსმ III, 03.08.2005წ., №91, მუხ.1035) დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ (დანართი №1) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ.კ.კ.კ.დ¹“ ქვეპუნქტი:

„კ.კ.კ.კ.დ¹) საავადმყოფო ფურცელი;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი**ნოდარ ხადური**



საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №361

2015 წლის 11 ნოემბერი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, მუხლი 2552) დამტკიცებული წესის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური





საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №362

2015 წლის 11 ნოემბერი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, მუხლი 2552) დამტკიცებული წესის 23⁴ მუხლის მე-8 – მე-10 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სსა/ტექნიკური საშუალება გააქტიურებული SAM მოდულით, რომელიც აღარ გამოიყენება კონკრეტულ ობიექტზე ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისთვის, ექვემდებარება რეგისტრაციიდან მოხსნას, ან სარეგისტრაციო მონაცემებში მითითებული ფაქტობრივი მისამართის ცვლილებას – პირის მიერ სხვა ობიექტზე მათი გამოყენების/სსა-ის დისტრიბუციის მიზნით გამოყენების მოთხოვნის შემთხვევაში. აღნიშნულის შესახებ პირი განცხადებით მიმართავს საგადასახადო ორგანოს.

9. საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული სსა-ის/ტექნიკური საშუალების და მათზე გააქტიურებული SAM მოდულის:

ა) რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ განცხადებაში მიეთითება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, აგრეთვე, სსა-ის/ტექნიკური საშუალების და მათზე გააქტიურებული SAM მოდულის რეგისტრაციის თარიღი და ნომერი. ამასთან, საგადასახადო ორგანოს განცხადებასთან ერთად წარედგინება ფისკალურ მექანიზმებში არსებული ინფორმაცია, კერძოდ, ტრანზაქციის უნიკალური ნომერი; შესაბამისი ტიპის ტრანზაქციის რიგითი ნომერი; „Z“ ანგარიშის ნომერი, რომელშიც დარეგისტრირდა ტრანზაქცია; ტრანზაქციის ტიპი (0-დებეტი, 1-კრედიტი, 2-უნაღდო დებეტი, 3-უნაღდო კრედიტი); თანხის ოდენობა; ტრანზაქციის თარიღი და დრო ფორმატში – YYMMDDHHMMSS; შესაბამის ტრანზაქციაზე SAM მოდულის მიერ დაბრუნებული ელექტრონული ხელმოწერა. რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ მონაცემთა ერთიან



კომპიუტერულ ბაზაში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა. განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში პირს გადაეცემა ცნობა რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ (დანართი №14⁴);

ბ) პირის მიერ სხვა ობიექტზე, ან სარეგისტრაციო მონაცემებში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე რეგისტრირებული სსა-ის დისტრიბუციის მიზნით გამოყენების შესახებ წარდგენილ განცხადებაში, მიეთითება საგადასახადო ორგანოში მათი რეგისტრაციის თარიღი, ნომერი და ფაქტობრივი მისამართი, სადაც გამოყენებული იქნება სსა/ტექნიკური საშუალება გააქტიურებული SAM მოდულით, ხოლო სსა-ის დისტრიბუციის მიზნით გამოყენების შემთხვევაში – პირის იურიდიული მისამართი. საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს №14³ დანართის მე-6 სტრიქონში და №14⁵ დანართის მე-8 სვეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანას. განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში პირს გადაეცემა სარეგისტრაციო ბარათი (დანართი №14³).

10. ამ მუხლში მითითებულ განცხადებაში ან/და თანდართულ დოკუმენტებში ხარვეზის გამოვლენისას, საგადასახადო ორგანო წყვეტს შესაბამის პროცედურებს, რის შესახებაც არაუგვიანეს 1 სამუშაო დღეში აცნობებს განმცხადებელს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური





i n s t r u c c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის**ბრძანება №367**

2015 წლის 18 ნოემბერი, ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე****„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
შესაბამისად, ვბრძანებ:****მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03.01.2011წ., 2000900000.22.033.016112) დამტკიცებულ ინტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 25² მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ზედნადების 21-ე სტრიქონში მიეთითება მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის სპეციალური ფირნიშის ნომერი. სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითება ასევე სავალდებულოა მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირებისას, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მიწოდება, მისი ტრანსპორტირების ნებისმიერ ეტაპზე. სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითება სავალდებულო არ არის ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყის (მორის), ასევე წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყის ტრანსპორტირებისას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი**ნოდარ ხადური**



Semosavl ebis samsaxuris ganmarteba

შემოსავლების სამსახურის კომენტარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლზე

მუხლი 176. უკუდაბეგვრა

1. არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურების დაბეგვრა

(საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის 1(ა), 2(ა), 3(ა))

დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება არარეზიდენტი ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება (სსკ-ის 176-ე 1(ა)).

უკუდაბეგვრის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტად ითვლება ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსი) და არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულება (სსკ-ის 176-ე 2(ა)).

საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას მომსახურებისათვის გასაცემ თანხაზე (სსკ-ის 176-ე 3(ა)).

ანალიზი:

2011 წლის 31 დეკემბრამდე სსკ-ით უკუდაბეგვრის წესით დღგ-ით იბეგრებოდა მხოლოდ არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურება. ამასთან, განსხვავებულია დაბეგვრის წესი და პროცედურები იმისდა მიხედვით, არარეზიდენტი საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობას ეწევა მუდმივი დაწესებულების მეშვეობით თუ მის გარეშე. პირველ შემთხვევაში, არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურება ისევე იბეგრება, როგორც რეზიდენტის მიერ გაწეული, ხოლო მეორე შემთხვევაში, ასეთი მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის ვალდებულება წარმოექმნება მომსახურების მიმღებს – საგადასახადო აგენტს, რომელიც არარეზიდენტისაგან შეძენილ მომსახურებას არიცხავს დღგ-ს და იხდის ბიუჯეტში.

2011-12 წლებში საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით უკუდაბეგვრას დაექვემდებარა აგრეთვე პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა, აგრეთვე საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის იმპორტი.



აღნიშნულის გათვალისწინებით, უკუდაბეგვრის ვალდებულება საქონლის ან მომსახურების მიმღებს შეიძლება წარმოეშვას:

1. მომსახურების მიღებისას, თუ მომსახურებას უწევს არარეზიდენტი საწარმო ან არარეზიდენტი ფიზიკური პირი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) მუდმივი დაწესებულებისა და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე. ამასთან, ეს მომსახურება უნდა ითვლებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულად;
2. საქართველოს ტერიტორიის გარეთ გაწეული მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით მიღებისას, თუ ეს პროდუქტი მატერიალური ფორმით (საქონლის სახით) არ კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს;
3. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) მისი, როგორც კრედიტორის მიერ საკუთრებაში მიღებისას;
4. საქონლის იმპორტისას, როცა იმპორტიორი ახორციელებს საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევას.

უკუდაბეგვრის ვალდებულება არ ავალდებულებს საგადასახადო აგენტს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციას, მიუხედავად საქონლის/მომსახურების ღირებულების ოდენობისა;

თუ სსკ-ის **168**-ე მუხლის მიხედვით საქონლის ან მომსახურების მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ასეთი საქონელი და მომსახურება უკუდაბეგვრის წესით არ დაიბეგრება.

არარეზიდენტი საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურების დღგ-ით უკუდაბეგვრის მიზანია თანაბარკონკურენტული პირობები შეუქმნას საქართველოს ტერიტორიაზე ერთი და იმავე სახის მომსახურების განმახორციელებელ რეზიდენტ და არარეზიდენტ პირებს. მაგალითად, თუ პირი ახორციელებს დღგ-ისაგან გათავისუფლებულ ოპერაციებს, მას არა აქვს შეძენილ საქონელსა და მომსახურებაზე მომწოდებლებისათვის გადახდილი დღგ-ის ჩათვლის უფლება. აქედან გამომდინარე, მას არ ექნებოდა სურვილი დღგ-ით გაზრდილი ფასით შეეძინა მომსახურება საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირისაგან, არარეზიდენტის მიერ გაწეული იგივე მომსახურება რომ არ იბეგრებოდეს საქართველოში.

დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ ის მომსახურება, რომელიც ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულად საქართველოს საგადასახადო კოდექსის **166**-ე მუხლით დადგენილი ნორმების შესაბამისად.



დღგ-ით უკუდაბეგვრის წესი არ ვრცელდება საქართველოს მოქალაქის მიერ გაწეულ მომსახურებაზე, მიუხედავად იმისა, რომ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომელშიც გაწეულ იქნა მომსახურება, იგი შეიძლება ითვლებოდეს არარეზიდენტად.

საგადასახადო აგენტს ეკისრება საგადასახადო ვალდებულება არარეზიდენტის მიერ მისთვის გაწეულ დღგ-ით დასაბეგრ მომსახურებაზე. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა საგადასახადო აგენტი რეგისტრირებულია თუ არა დღგ-ის გადამხდელად.

უკუდაბეგვრისას საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას არარეზიდენტის მიერ მისთვის გაწეული მომსახურებისათვის გასაცემ თანხაზე. ამასთან, თუ ადგილი აქვს არარეზიდენტის მიერ მომსახურების უსასყიდლოდ გაწევას, დღგ-ის დარიცხვა ხდება მომსახურების საბაზრო ღირებულებაზე.

დღგ-ის თანხა შეადგენს დასაბეგრი მომსახურების თანხის **18** პროცენტს.

დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება მომსახურების გაწევის მომენტი, ხოლო თუ მომსახურებას აქვს რეგულარული ან უწყვეტი ხასიათი, მათ შორის, საიჯარო მომსახურებაზე – არა უგვიანეს საანგარიშო თვის ბოლო დღე;

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №1):

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა რეზიდენტმა შპს-მ საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე უცხოურ კომპანიას ხელშეკრულების საფუძველზე დაუკვეთა საქართველოს ბაზარზე გარკვეული ტიპის მარკეტინგული კვლევის ჩატარება. მომსახურება შესრულდა მაისის თვეში. რეზიდენტი შპს-ს მიერ უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხა – **2700** ლარი ბიუჯეტში გადახდილია იმავე წლის ივლისის თვეში.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

უცხოური კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებისათვის გასაცემ თანხას შპს-მ უნდა დაარიცხოს დღგ და **2700** ლარი (**15000** ლარი **X 18%**) ასახოს მაისის თვის გაანგარიშებაში (იმ საანგარიშო თვეში, რომელშიც გაწეულ იქნა მომსახურება).

უკუდაბეგვრის წესით გადახდილი დღგ-ის ჩათვლის უფლება საწარმოს წარმოექმნება ივლისის თვიდან (დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის თვიდან), საერთო დადგენილი წესით.

2. საქართველოს ტერიტორიის გარეთ გაწეული მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით მიწოდების დაბეგვრა

(საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის 1(გ), 2 (ა), 3(ა))



დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიის გარეთ გაწეული მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის (საპროექტო დოკუმენტაცია, ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნოლოგიური სქემა, პროგრამა და სხვა) მიწოდება ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით, თუ იგი არ კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს ინტეგრირებული სქემის ან სხვა სახის ინფორმაციის მატარებლის საშუალებით (სსკ-ის 176-ე 1(გ)).

უკუდაბეგვრის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტად ითვლება ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსი) და არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულება (სსკ-ის 176-ე 2(ა)).

საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას მომსახურებისათვის გასაცემ თანხაზე (სსკ-ის 176-ე 3(ა)).

ანალიზი:

ამ ნორმის მიზანია დაარეგულიროს ელექტრონული ფორმით მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის დღგ-ით დაბეგვრის საკითხი, იმ შემთხვევაში, როცა ამ პროდუქტის მატერიალური ფორმით ან მატერიალური მატარებლებით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილება არ ხდება.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №4):

საქართველოს საწარმომ ბრიტანულ კომპანიას, რომელსაც არ აქვს საქართველოში მუდმივი დაწესებულება, ხელშეკრულების საფუძველზე დაუკვეთა სათავო ოფისის პროექტირება. ბრიტანულმა კომპანიამ აღნიშნული პროექტი მიაწოდა ინტერნეტის მეშვეობით.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

მომსახურება ჩაითვლება ელექტრონულად გაწეულ მომსახურებად და ექვემდებარება უკუდაბეგვრას.

ანალიზი:

თუ არარეზიდენტთან ხელშეკრულება დადებულია მომსახურების მიწოდებაზე, რომლის პროდუქტი კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს ფიზიკურ მატარებელზე, მაშინ საბაჟოზე დაიბეგრება მხოლოდ მომსახურების ფიზიკური მატარებლის (მაკეტი, მოდელი, CD დისკი და ა.შ.) ღირებულება, ხოლო მომსახურების ღირებულება დაიბეგრება უკუდაბეგვრის წესით;



ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №2):

არარეზიდენტ და რეზიდენტ საწარმოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, არარეზიდენტი საწარმო შეიმუშავებს და დაამზადებს საქართველოს ტერიტორიაზე ასაშენებელი ქარხნის საპროექტო და ტექნიკურ დოკუმენტაციას და მიაწვდის რეზიდენტს 4 ეგზემპლარად ქალაქში. ხელშეკრულების მიხედვით, საკომპენსაციო თანხა შეადგენს 200 000 ლარს, აქედან, საინჟინერინგო მომსახურების ღირებულებად დაფიქსირებულია 190 000 ლარი, ხოლო მომსახურების ფიზიკური მატარებლის (საპროექტო - ტექნიკური დოკუმენტაციის) ფასად – 10 000 ლარი.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

საკომპენსაციო თანხიდან უკუდაბეგვრის წესით დაბეგვრას დაექვემდებარება მხოლოდ მომსახურების ღირებულება (190 000 ლარი).

3. უკუდაბეგვრის წესით მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემის დაბეგვრა

(საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის 1(ბ), 2(ბ), 3(ბ), 5, 6(ბ))

დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა (სსკ-ის 176-ე 1(ბ)).

უკუდაბეგვრის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტად ითვლება პირი (კრედიტორი), რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში საკუთრებაში იღებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანს (საქონელს) (სსკ-ის 176-ე 2(ბ)).

საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას საკუთრებაში მიღებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) საბაზრო ფასზე, დღგ-ის გარეშე (სსკ-ის 176-ე 3(ბ)).

საქონლის საბაზრო ფასზე დღგ-ის დარიცხვის ვალდებულება არ ეკისრება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს, ამასთანავე, ითვლება, რომ ამ საქონელზე მან განახორციელა შესაბამისი ოდენობის დღგ-ის ჩათვლა (სსკ-ის 176-ე 5).

ანალიზი:

აღნიშნული ნორმა არეგულირებს იმ შემთხვევას, როდესაც მოთხოვნის უზრუნველყოფის საქონელი (დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას პირდაპირ გადადის კრედიტორის საკუთრებაში. ამ შემთხვევაში კრედიტორი, პირი, რომლის საკუთრებაშიც გადადის მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანი (საქონელი), ახდენს საქონლის საბაზრო ღირებულებაზე დღგ-ის დარიცხვას და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას.



დაბეგვრა ხდება იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანი გადადის კრედიტორის საკუთრებაში.

ამასთან, თუ კრედიტორი არის დღგ-ის გადამხდელი, დღგ-ის დარიცხვის ვალდებულება არ ეკისრება და ითვლება, რომ ამ საქონელზე მან განახორციელა შესაბამისი ოდენობის დღგ-ის ჩათვლა იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც გადაეცა საკუთრებაში.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №5):

დღგ-ის გადამხდელებად რეგისტრირებულ საწარმოსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის დადებულია სასესხო ხელშეკრულება, სესხის უზრუნველყოფის (იპოთეკის) საგანს წარმოადგენს კომერციული ფართი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 2012 წლის მარტის თვეში კომერციული ფართზე საკუთრების უფლება გადაეცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, როგორც ამას ხელშეკრულება ითვალისწინებდა. მან გადაწყვიტა ამ ფართში ფილიალის განთავსება. კომერციული ფართის საბაზრო ღირებულება დღგ-ის გარეშე შეადგენს 150 000 ლარს.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ითვლება, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას კომერციულ ფართის საბაზრო ღირებულების დღგ – 27 000 (150 000 X 18%) ლარი ჩათვლილი აქვს მარტის თვეში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მის მიერ 2011 წელს განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვების წილი საერთო ბრუნვის თანხაში 20 პროცენტზე ნაკლებია, სსკ 174(7; 8) მუხლის თანახმად, ამავე თვეში 27 000 ლარი უნდა აღიაროს გადასახდელად. 2 700 ლარი (27000-ის 1/10) ყოველი კალენდარული წლის ბოლოს (10 წლის განმავლობაში) მონაწილეობას მიიღებს ჩასათვლელი დღგ-ის თანხის განსაზღვრაში.

დღგ-ით უკუდაბეგვრას არ ექვემდებარება პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემისას – ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის გადაცემა (სსკ-ის 176-ე 6 (ბ)).

ანალიზი:

ფიზიკური პირის მიერ ყოველი უწყვეტი 48 თვის განმავლობაში მის საკუთრებაში არსებული 4 საცხოვრებელი ბინის (სახლის), მასზე დამაგრებული მიწით, რეალიზაცია ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება და, შესაბამისად, დღგ-ით არ იბეგრება. მიუხედავად ამისა, ფიზიკურ პირს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის კრედიტორისათვის გადაცემა ეთვლება თუ არა ეკონომიკურ საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულად, მასზე კრედიტორს არ წარმოექმნება საგადასახადო აგენტის (უკუდაბეგვრის) ვალდებულება. შესაბამისად, დღგ-ით დაბეგვრის ვალდებულება დაეკისრება ფიზიკურ პირს ზემოაღნიშნული შეღავათის გათვალისწინებით.



4. უკუდაბეგვრის წესით საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას დაბეგვრა

(საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის 1(დ), 2(გ), 3(გ))

დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება საბაჟო საწყობში სსკ-ის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირისგან შეძენილი უცხოური საქონელი, რომელიც იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში ექცევა (სსკ. მუხლი 176(1დ)).

უკუდაბეგვრის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტად ითვლება პირი, რომელიც საქონელს იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში აქცევს (სსკ. მუხლი 176(2გ)).

საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას:

ა) საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობის თანხაზე - თუ საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული;

ბ) საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებაზე - თუ საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება (სსკ. მუხლი 176(3გ)).

ანალიზი:

აღნიშნული ნორმა არეგულირებს იმ შემთხვევას, როდესაც ადგილი აქვს საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევას. იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟო საწყობში საქონლის მიწოდება ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე მიწოდებად, მაგრამ საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით საბაჟო საწყობი არ ბეგრავს დღგ-ით ასეთ მიწოდებებს, ასეთივე საქონლის სხვა მიწოდებებისათვის თანაბარკონკურენტული პირობების შექმნის მიზნით, კანონმდებლობა ითვალისწინებს მიწოდების დაბეგვრას შემძენის მიერ საქონლის იმპორტის შემთხვევაში - პირი, რომელიც საბაჟო საწყობში შეძენილ საქონელს აქცევს იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში, ვალდებულია გადაიხადოს დღგ, რასაც გადაიხდიდა მისი შეძენისას საბაჟო საწყობში რომ დაბეგრილიყო. კერძოდ: საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის იმპორტის თანხა დღგ-ით დაიბეგრება იმპორტის დაბეგვრისათვის დადგენილი წესით, ამასთან, თუ:

- საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული, იმპორტის თანხა დაიბეგრება დღგ-ით იმპორტის დროს, ხოლო სხვაობის თანხა იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დაიბეგრება უკუდაბეგვრით;
- საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება, იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულება (სრულად) დაიბეგრება უკუდაბეგვრით.



უკუდაბეგვრით დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდა და ანგარიშგება ხდება არა უგვიანეს იმპორტის განხორციელების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის უკუდაბეგვრის აღნიშნული წესი ვრცელდება იმ საქონლის იმპორტის შემთხვევაშიც, რომელიც იბეგრება დღგ-ით იმპორტის დაბეგვრის სპეციალური წესით (სსკ, მუხლი 162.2¹).

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №6):

საქართველოს საწარმომ 2012 წლის 5 ივნისს განახორციელა საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის (შაქრის) იმპორტი. საქონლის შეძენის ღირებულება 12 000 ლარია, ხოლო იმპორტის თანხა 10 000 ლარი. აღნიშნული საქონლის არც იმპორტი და არც ქვეყნის შიგნით მიწოდება არ არის გათავისუფლებული დღგ-ისაგან.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას (5 ივნისს) დღგ-ით დაიბეგრება იმპორტის თანხა – 10000 ლარი, ხოლო აღნიშნული საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობა (2000 ლარი) საქართველოს საწარმომ უნდა დაბეგროს დღგ-ით უკუდაბეგვრის წესით და განახორციელოს ანგარიშგება და თანხის ბიუჯეტში გადახდა არა უგვიანეს 15 ივლისისა.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №7):

საქართველოს საწარმომ 2012 წლის 5 ივნისს განახორციელა საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის (რვეულების) იმპორტი. საქონლის შეძენის ღირებულება 12 000 ლარია, ხოლო იმპორტის თანხა 10 000 ლარი. საგადასახადო კოდექსის მიხედვით აღნიშნული საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისგან, ხოლო მიწოდება იბეგრება დღგ-ით.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას, იმპორტის თანხა დღგ-ით არ დაიბეგრება, ხოლო აღნიშნული საქონლის შესყიდვის ღირებულება (12 000 ლარი) სრულად დაიბეგრება დღგ-ით უკუდაბეგვრის წესით (12000*18%). დარიცხული დღგ ბიუჯეტში გადახდას ექვემდებარება არა უგვიანეს 15 ივლისისა.

5. უკუდაბეგვრით გადახდილი დღგ-ის ჩათვლა

ანალიზი:

თუ საგადასახადო აგენტი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, მას უფლება აქვს უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ ჩათვალოს, საერთო დადგენილი წესით, იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც გადახდილი იქნა თანხა ბიუჯეტში. დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებთან მიმართებაში არ გამოიყენება სსკ-ის 174(3)-ე მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილი შეზღუდვა (ჩათვლისათვის დადგენილი ვადის შეზღუდვა).



ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტი) შეიძლება იყოს:

- ბიუჯეტში გადახდის მიზნით საბანკო ანგარიშიდან თანხის (დღგ-ის) ჩამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან
- საგადასახადო ორგანოს შეტყობინება – გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადების (მათ შორის, დღგ-ის) თანხის უკუდაბეგვრით გადასახდელი დღგ-ის გადახდის ანგარიშზე გადატანის თაობაზე.

დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებული საგადასახადო აგენტის მიერ უკუდაბეგვრის წესით გადახდილი დღგ, რომელიმე გადასახადში ჩათვლას არ ექვემდებარება.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №8):

არაეზიდენტმა საქართველოს საწარმოს გაუწია იურიდიული მომსახურება, რომლის ღირებულება 105 000 ლარია. საწარმომ არაეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურება დაბეგრა დღგ-ით უკუდაბეგვრის წესით, გადაიხადა ბიუჯეტში და ჩათვალა დადგენილი წესით.

მოგვიანებით საგადასახადო ორგანომ დაადგინა, რომ მომსახურების გაწევის საანგარიშო პერიოდისათვის არაეზიდენტი პირი აკმაყოფილებდა საქართველოს რეზიდენტის კრიტერიუმებს.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

საქართველოს საწარმოს მიერ უკუდაბეგვრის წესით გადახდილი დღგ გადაანგარშებას, ხოლო ჩათვლილი დღგ გაუქმებას არ ექვემდებარება.





შემოსავლების სამსახურის კომენტარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე

მიმოსვლის გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზების ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება

შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია მიმოსვლის გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზები.

აღნიშნული პუნქტის მიხედვით, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

1. მიმოსვლის გზები
2. ელექტროგადამცემი ხაზები
3. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზები

ანალიზი ა:

მიმოსვლის გზებში უნდა ვიგულისხმოთ:

- ა) საავტომობილო გზა
- ბ) საჰაერო-საბაგირო გზა
- გ) რკინიგზა

საავტომობილო გზა – ხაზობრივი ნაგებობა, რომლის დანიშნულებაცაა უზრუნველყოს ავტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალი საშუალებების უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთვით და გაბარიტებით და დატანილი იქნება საკადასტრო ნახაზებზე ან რეგისტრირებული იქნება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

საავტომობილო გზის ცნებაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილები, გაერთიანებულია:

ა) მიწის ვაკისი სავალი ნაწილი, ხიდები, გვირაბები, ესტაკადები, სატრანსპორტო კვანძები, წყალგატარი ნაგებობები, საყრდენი კედლები, გზის გასწვრივ მდებარე საველოსიპედო და საცალფეხო ბილიკები, ასევე განსხვავების ზოლები და მის ფარგლებში არსებული სხვა საგზაო ნაგებობანი;

ბ) მოძრაობის მართვისა და რეგულირების, ტექნოლოგიური კავშირის, განათების მოწყობილობათა ელემენტები და სხვა ნაგებობანი, მათ შორის, სპეციალური დანიშნულების სატელეფონო კავშირები, რომლებიც საჭიროა საავტომობილო გზების ნორმალური მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისათვის;



გ) საავტომობილო გზების ზედა საჰაერო სივრცე სატრანსპორტო საშუალებებისათვის დადგენილი გაბარიტების ფარგლებში;

დ) თოვლდამცავი და ხმაურდამხშობი მოწყობილობანი, სატყეო თოვლდამცავი ზოლები, ზევესაწინაღმდეგო, ღვარცოფსაწინაღმდეგო და წყალამრიდი ნაგებობანი, გასაჩერებელი და დასასვენებელი მოედნები და ავარიის საწინაღმდეგო ჯიბეები, რომლებიც შეიძლება განლაგებული იყოს განსხვავების ზოლის გარეთ;

ე) საგზაო-საექსპლუატაციო სამსახურის შენობა-ნაგებობანი.

ფაქტობრივი გარემოება I:

საწარმო X-მა გადაწყვიტა საწარმოს ტერიტორიაზე დაეგო საავტომობილო გზა, რაზეც მომსახურების ხელშეკრულება გაუფორმა საწარმო Y-ს და გადაუხადა 100 000 ლარი.

სამუშაოების დამთავრების შემდეგ საწარმო X-მა გზა, როგორც ხაზობრივი ნაგებობა, დაარეგისტრირა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

შედეგი:

აღნიშნული საავტომობილო გზა, როგორც მიმოსვლის გზა, გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

საჰაერო-საბაგრო გზა – ხაზობრივი ნაგებობა, რომელიც საბაგრო გზისთვის არსებული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფს მოქალაქეთა გადაადგილებას ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტამდე.

ფაქტობრივი გარემოება II:

საწარმო X-მა 2011 წელს განახორციელა საჰაერო-საბაგრო გზის მშენებლობა. მოცემული საბაგრო გზა ექსპლუატაციაში შეიყვანა 2012 წელს.

შედეგი:

აღნიშნული საბაგრო გზა, როგორც მიმოსვლის გზა, გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

რკინიგზა

ხაზობრივი ნაგებობა, რომელიც მოიცავს მიწის ვაკისზე განლაგებულ სარკინიგზო ლიანდაგებს და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხიდებს, გვირაბებს, ლიანდაგის დამცავ ნაგებობებს.

ანალიზი ბ:

ელექტროგადამცემ ხაზებს უნდა მივაკუთნოთ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზები.

საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი არის ღია ცის ქვეშ განთავსებული მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაც ანმებზე ან საინჟინრო ნაგებობებზე იზოლატორებითა და არმატურით დამაგრებული სადენებით ელექტროენერჯის (სიმძლავრის) გადაცემა/გადატანა;



საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი არის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) გადაცემისათვის/გადატანისათვის განკუთვნილი იზოლირებული სადენი (სადენები), რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე პარალელური შტოსაგან, შერთებისათვის საჭირო აქსესუარებით (ქუროები, მომჭერები და სხვა არმატურა).

ანალიზი გ:

ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებს მიეკუთვნება გამოძახებებისა და სხვადასხვა საინფორმაციო სიგნალების ელექტრონული დამუშავების, დამისამართების (კომუტაციის), გატარების და გადაცემის ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც მოიცავს სადენიან (მათ შორის, ოპტიკურ-ბოჭკოვან), თანამგზავრულ, რადიოსიხშირულ ან ოპტიკურ ადჭურვილობას, სხვა ტექნოლოგიურ საშუალებებს და საოპერაციო ტექნიკურ რესურსებს, მათ შორის, ფიქსირებული (არხული და პაკეტური კომუტაციის, მათ შორის, ინტერნეტის) და მობილური კომუნიკაციების, ციფრული მაუწყებლობის, საეთერო და საკაბელო ქსელებს.

საგადასახადო კოდექსით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მხოლოდ საკაბელო საკომუნიკაციო ხაზი, ანუ ხილული, სადენიანი (მათ შორის ოპტიკურ-ბოჭკოვანი) ხაზი.

ფაქტობრივი გარემოება III:

საწარმო X-ს, რომელიც ახორციელებს ტელესაკომუნიკაციო მომსახურებას, საკუთრებაში გააჩნია:

ოპტიკური ქსელი – (**Fiber optical Network**) - კაბელი, ODF, სპლიტერი, ტერმინალური კოლოფი.

შედეგი:

ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალიდან ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია კაბელები, როგორც საკაბელო საკომუნიკაციო ხაზები.

ფაქტობრივი გარემოება IV:

საწარმო X-ს, რომელიც ახორციელებს მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას, საკუთრებაში გააჩნია საბაზო სადგურები.

შედეგი:

საწარმო X-ის საკუთრებაში არსებული საბაზო სადგურები არ თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან, რადგან იგი წარმოადგენს საჭირო საკომუნიკაციო ხაზის ელემენტს და არ მიეკუთვნება საკაბელო საკომუნიკაციო ხაზს.





es saint ereso a

ბიზნეს რეგისტრი

საქმიანობის სახეების მიხედვით

(1 ოქტომბერი 2015)

საქმიანობის სახე	სუბიექტთა რაოდენობა	აქტიური	%
სულ	618492	118004	100
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	5470	1117	0.9
თევზჭერა, მეთევზეობა	371	130	0.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1267	492	0.2
დამამუშავებელი მრეწველობა	28624	9514	4.6
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	499	138	0.1
მშენებლობა	14542	5253	2.4
ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	126780	57611	20.5
სასტუმროები და რესტორნები	11113	4759	1.8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	17153	6643	2.8
საფინანსო საქმიანობა	3380	1739	0.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	23998	11157	3.9
სახელმწიფო მმართველობა	1801	225	0.3
განათლება	6402	2741	1.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	5365	2717	0.9
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	18908	3279	3.1
საქმიანობა უცნობია	352819	10489	57.0

საკუთრების ფორმების მიხედვით

(1 ოქტომბერი 2015)

საკუთრების ფორმა	სუბიექტთა რაოდენობა	%
სულ	618492	100
კერძო პირები*	607616	98.2



კერძო პირი-საქართველოს მოქალაქე	587244	94.9
უცხოელი კერძო პირი	16099	2.6
კერძო შერეული**	4273	0.7
სახელმწიფო***	6587	1.0
მუნიციპალიტეტი	1963	0.3
საკუთრების სხვა ტიპი	2326	0.5

*კერძო პირი - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი კერძო პირის საკუთრებაშია;

**კერძო შერეული - ეკონომიკური სუბიექტის საწესდებო კაპიტალში საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი კერძო პირის წილობრივი მონაწილეობა;

***სახელმწიფო - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაშია.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით (1 ოქტომბერი 2015)

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სუბიექტთა რაოდენობა	%
სულ	618492	100
კომერციული იურიდიული პირები	175243	28.3
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)	2726	0.4
კომანდიტური საზოგადოება	181	0.0
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	166165	26.9
სააქციო საზოგადოება	2352	0.4
კოოპერატივი	3819	0.6
არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირები	21630	3.5
ინდივიდუალური მეწარმე	412795	66.7
სხვა	2597	0.5
საჯარო სამართლის სუბიექტები	6227	1.0






Jurnal i `gadasaxadebis- redaqcia gTavazobT

konsul taciebs sagadasaxado, buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa `oris-buRal teria--sTan dakavSirebul saki Txebze.

konsul taciebi Catardeba wi naswar SeTanxmebul droSi.

Cveni sakontaqto tel efonebia: 230-78-51, 5-93-79-10-77

val utis kursi

	aSS dol ari	2.4078	+	0.0000
	evro	2.5759	+	0.0000
	girvanqa sterl ingi	3.6842	+	0.0000

buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa
`oris-buRal teria- Semswavl el Ta

s a y u r a d R e b o d

Jurnal i `gadasaxadebis- redaqcia gTavazobT buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa `oris-buRal teria- Seswavl is daCqarebul kurss. cal keul i j gufebis dakompl eqteba moxdeba msmenel Ta Sesabamisi doneebis gaTval i swinebi T.

saswavl o process warmarTaven am dargis cnobili special istebi.

msmenel Ta miReba dawyebul ia. mecadineobebi Catardeba TqvenTvis sasurvel droSi da pirobebSi.

Cveni sakontaqto tel efonebia: 230-78-51, 5-93-79-10-77